

# დედა

№2 მარტი-აპრილი 1998 წელი

F-343

1998

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს  
საგნობლად თავისადათ:  
ვინ არის, სიღამ მოხუდა,  
სად არის, წაჯა სხდათ?



✻ ანთოლოგია ✻

იოსებ ფავითაშვილი

ჯაჯილი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
 დაბურდი, გახდი ეანაო;  
 იკურთხოს იმის მარჯვენა,  
 ვინც გთესა, მოგიუვნანაო!  
 დაბურდი, ჩემო ნუკეო,  
 იზარდე თანდათანაო;  
 ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი,  
 მზემ შუქი გვინოს თანაო.  
 ქარმა გაღელვოს ზღვანავით,  
 მწვერმამ მოგძახოს ნანაო;  
 იზარდე, გაახარევი  
 უმაწვილი ჩემისთანაო.  
 შრომის შვილი ვარ უარიბი,  
 არავინ გამიტანაო;  
 ვისაც კი ძმურად მივენდე,  
 მან გულს დამსვა დანაო.  
 ნეტავი აქ არ მამყოფა,  
 ქალაქში ჩამიუვნანაო;  
 მასწავლა რამე ხელობა,  
 მასწავლა ანა-ბანაო.  
 ამადლდი; თავი დაისხი,  
 ჯეჯილო, ნორჩო ეანაო;  
 იმისი სასრლო შეიქენ,  
 ვინც გთესა მოგიუვნანაო.  
 ნამკლებით გარსა გეხეივნენ  
 ბიჭები ჩემისთანაო;  
 ზეტრე, გიორგი, თვედორე,  
 ბესო და აღმასხანაო.  
 ჯერს უმზადებდეს თინია  
 ა იმ ბურ კაკლებთანაო,  
 სოსოს ხელადა მოჰქონდეს  
 ციციცი წუაროღანაო.



# ეკლესია-ღვთის სახლი



## ქრისტა აღსდგა! ჭიშკარიტად აღსდგა!

ნანა ჩარკვიანი

იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა არის ყველაზე დიდი, ყველაზე სასიხარულო ამბავი, რაც კი დედამიწაზე მომხდარა. ეს არის ყველაზე დიდი დღესასწაული ქრისტიანებისათვის. აღდგომის წინა ღამეს ყველა ქრისტიანი იკრებიება ტაძრებში, გაისმის ზარების რეკვის ხმა, ყველას უნუცხა, რომ სიკვდილი დამარცხდა. მაგლობ-ლებში გალობენ: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი, და საულაკების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“. მოდით, ვისაუბროთ აღდგომის შესახებ, გავვერ-კვეთ, რას ნიშნავს ამ საგალობლის სიტყვები, რომ აღდგომას, ტაძარში მისულებმა, თავი უცხოად არ ვიგრძნოთ, და ეკლესიის სიხარული გახადეს ჩვენი საკუთარი და ნამდვილი სიხარუ-ლი.

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ - ე.ი. ღმერთი ჯერ მოკვდა, შემდეგ კი აღდგა. ერთი შეხედვით, ძალიან უცნაურია, როგორ შეიძლება, რომ ღმერთი მომკვდარიყო, ის ხომ უკვდავია. მაგრამ ისეო ქრისტე ღმერთივაცაა, ღმერთიც არის და ადამიანიც, როგორც ღმერთი, ის უკვდავია, მაგრამ მან იხება, ჩვენივე მსგავსი გახმადარიყო და ადამიანის სიკვდილით მომკვდარიყო. როგორც რომაელს?

ღმერთის რჩეული ხალხი - ებრაელი ერი, ყო-ვლთვის ელოდებოდა ღმერთის დედამიწაზე მოსვლას, მაგრამ მისი წარმოუდგენელი, ღმერთი მოვიდოდა ძლიერადოსილი (ე.ი. ყველას აჩვენებდა საკუთარ სიძლიერეს), დაამარცხებდა მის მტერებს და დასჯიდა ცოდვილებს. მან ვერ იცნო ნამდვილი ღმერთი, რადგან ღმერთმა მის დაიმი-დალა თავი, რომ მოვიდა, როგორც ჩვეულებ-რივი ადამიანი, მოვიდა არა როგორც დამსჯე-ლი, არამედ როგორც სიყვარულის მასწავლებე-ლი, რადგან ღმერთი სიყვარულია. იესო ქრის-ტეს შილი მონიერი ცხოვრება არის სხვებზე ზრუნვისა და თავდადების მაგალითი. ის ავაღ-მყოფდეს კურნავდა, დამწუხრებულებს ანუგუ-შებდა და ამშვიდებდა, უკოდინარებს ასწავლი-და, მკვდრებს სიცოცხლეს უბრუნებდა. რატომ ვერ იცნეს მაცხოვარი?

მიტომ, რომ ღვთის რჩეული ერი გაამპარ-ტანდა. მას ღვთის შესახებ სიმაართლის გაგება კი არ აინტერესებდა, არამედ სურდა, ღმერთი ისეთი ყოფილიყო, როგორც მას წარმოუდგინა და უნდოდა. და რადგან ქრისტე ასეთი არ აღ-მოჩნდა, შეიპყრეს, მატყუარობა დააბრალეს და დასაჯეს, როგორც ყველაზე საშიხელი ავაზაკი. ის ჯერ გამოლტეს. შილტვი იყო მათრახი, რომ-ლის ნივრზე ბასრი და მჭრელი რკინი იყო და-მაგრებულნი. გამოლტვისგან უფლად სულ მთლად დაჭრა სხეული და სისხლი სდიოდა. და-უძღვრებულს ზურგზე მიიმე ჯვარი აკიდეს, აატანეს მთაზე, რომელსაც გოლგოთა ერქვა და შემდეგ ამ ჯვარზე ხელებითა და ფეხებით მი-აღურსმნეს. ეს ღურსმნები ისეთი კი არ იყო, როგორც თქვენ გინახავთ, არამედ უზარმაზარ-ი, ბასრი წახნაგებითა და ნადევებით. ყოველ განძრევაზე, ისინი უფლად ხორცს უფლადიფუნ-და ძველებადე ატანდნენ. იესო ქრისტე იყო სრუ-ლიდ უღანმაულო, ის იყო ერთადერთი ადამი-



ანი, რომელსაც არც ერთი ცოდეა არ ჩაუდენია და მიუხედავად ამისა ის დასაჯეს და მოკლეს. მან საშიხელი ტკივლები დაითმინა, წარმოუდ-გენელი შეურაცხყოფა აიტანა, მაგრამ სიკვდი-ლის წინ მამა ღმერთს სთხოვდა, ხალხისთვის ეს საშიხელი ცოდეა ემატიებინა.

მაცხოვრის შექმლო დამსჯელებს გასცლოდა, მაგრამ იესო საკუთარი ნებით ჩამპარდა მათ, მიინდობა, ჩვენი, ადამიანების სასჯელი თავის თავზე ადო, ე.ი. ჩვენი ნაცვლად დაიხაჯა, ჩვენ-თვის თავი გასწირა. „უფროსი ამისა სიყვარული არავის აქუს, რათა სული თვისი დაჰსდუას მე-გობართა თვისთა თავს“ (იოანე 15,13). ერის მთა-ვართა ბრძანებით იესო ქრისტე ჯვრიდან ჩამო-სწინეს და აკლდამაში დასაქნეს. აკლდამა იყო კლდელი გამკვეთილი გამოქცაბული მიცვალე-ბოულის დასაქცაბლად. მისი შესავლელი უზარ-მაზარი ქვის ლოდით ჩაგმანეს და მკველებად ჯარისკაცები მიუჩინეს, ეს იყო პარასკევი დღე-რატომ იქცა ღმერთი კაცად და რატომ მოკვდა ის?

ადამიანი ცოდეის გამო მონყვეტილი იყო ღვთისაგან. ადამიანი დაშორდა ადამიანს, თვი-თონ ადამიანში სული დასცილდა სხეულს. სიკ-ვედილი სწორედ ეს არის უმცირეობა, მარტოო-ბა, უსულოდ დარჩენილი სხეული. ღვთის მად-ლი, უსილოდ დაჩრქნილი სხეული. ღვთის მად-ლი, თვის ძალა კი ყველაფერს ამთლიანებს, აერ-თიანებს - სულს სხეულთან, ადამიანს ადამიან-თან, და ბოლოს ადამიანს ღმერთთან. ქრისტეში ღმერთი შეერთებულია ადამიანთან, ამიტომ ქრისტეს ძალით, მისი სიყვარულით, ჩვენც, ადამ-იანები, დაუღვრუნვით ღმერთს.

რატომღა შემოუშვა ქრისტემ თავის თავში სიკვდილი? იმიტომ, რომ ღმერთი არის სი-ცოცხლე და სიცოცხლის მომცემი. ის ისე-ვე ვერ ეგუება სიკვდილს, როგორც ამო-მავალი მზე ღამის სიბნელეს. ღმერთი შეხ-

F-6599

საქართველოს  
მართლმადიდებელი  
ეკლესიისთვის





ვდა სიკვდილს, რათა, როგორც სიკოცხლის მზეს, გაეფანება და დაემარცხებინა სიკვდილის სიბრძნე. და, აი, მესამე დღეს მისი ჯვარცმიდან, კვირას, ის აღდგა მკვდრებით (სწორედ ამიტომ კვირა სადღესასწაულო, დასვენების დღეა). გამთენიების მოხდა მღვირვი მიწისძვრა. უფლის ანგელოზმა გადააგორა ის აკლდამის ლოდი, რომელშიც მაცხოვარი იყო დასვენებული. ჯვარისკაცები შიშისაგან მიწაზე გაერთივნენ, მერე კი გაიქცნენ. ამ დროს საფლავისკენ მოემართებოდნენ ქრისტეს მოწაფეები, ქალები, რომლებსაც სურდათ, მაშინდელი წესების მიხედვით ქრისტეს გვამისათვის სურნელკობანი ზეთები, ანუ უნესაცხებელი წაეცხობთ. ამ ქალებს ამიტომაც უწოდებენ მებუნესაცხებელ დედებს. მათ ნახეს გადააგორებული ლოდი, აკლდამაში კი გვამი აღარ ესვენა; სამაგიეროდ დედებმა იხილეს ორი ანგელოზი. ერთ-ერთმა უთხრა მათ: „ნუ გემიჩნიათ, მე ვიცი, თქვენ იცის ექებთ. ის მკვდრებით აღსდგა. წადით და უამბეთ ამის შესახებ მის მოწაფეებს“. ამის შემდეგ თითოეულ აღმდგარი იცხოვრებოდა ჯერ საკუთარ მოწაფეებს, შემდეგ დახარჩუნებულ ადამიანებს. წარმოიდგინეთ ის გაოცება და სიხარული, რასაც განიცდიდნენ ეს ადამიანები. აღმდგარი ქრისტე ორმოცი დღე დადიოდა მიწაზე და ყველას ახარებდა სიკოცხლის გამარჯვებას. ამის შემდეგ ის ამაღლდა ზეცად, მაგრამ როგორც უხილავი ღმერთი, ის მარადიულად არსებობს ჩვენთან. ქრისტე იმიტომ მოკვდა, რომ შემდეგ ის მკვდრებით აღმდგარიყო. იესო ქრისტეს - ჩვენი ღმერთის აღდგომა იმიტომაც ასეთი სასიხარულო, რომ მისი ძალით, ჩვენც, ქრისტიანებს, მოგვეცა ძალა სიკვდილზე გამარჯვებისა და მკვდრებით აღდგომისა.

ქრისტეს აღდგომამდე სიკვდილი მთელ სამყაროში იყო გამეფებული. ბიბლიური მამამთავრები და წინასწარმეტყველებიც კი ვერ ხედავდნენ სამოთხეში. იმიტომ, რომ სამოთხე არის ღმერთთან ერთობა, ჩვენ კი უკვე ვიცით, რომ ცოდვის გამო ადამიანსა და ღმერთს შორის ეს ერთობა არ არსებობდა. ხატზე, რომელსაც ეწოდება „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“, გამოხატულია ქრისტე, რომელიც ჯოჯოხეთიდან მარ-

თალი ადამიანების სულს ათავისუფლებს. **ჯოჯოხეთი** არის ტანჯვა, წუხილი, რასაც სული განიცდის. რატომ იტანება სული, რას სწუხს ის? სული იტანება ღმერთის ანუ სინათლის, სიყვარულის, სიკეთის სიზმრით. თუ ღმერთს ადამიანები უყვარს, რატომ არ ეტანებოდა მათ ჯოჯოხეთში? - იკითხავთ ალბათ. ღმერთი ყველას ერთნაირად აძლევს სიკეთეს, მაგრამ ყველას ერთნაირად არ შეუძლია ამ სიკეთის მიღება. მზე ყველასათვის ერთნაირად ანათებს, მაგრამ ზოგიერთი ადამიანის სულს ისეთი უხეირო და ტლანქი ნაჭუჭი აქვს საკუთარი ცოდვებისა, რომ მასში, როგორც სქელ კედელში, სინათლე ვერ აღწევს. ცოდვის ეს ნაჭუჭი ბნელ ციხეს, დაგმანულ საფლავსა შვავს, რომელსაც ადამიანი თავისივე ხელით იშენებს საკუთარი სულის გარშემო. ასეთ მდგომარეობაში ვარდება ადამიანი, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობს. ამქვეყნიური ცხოვრება ჩვენ იმისათვის გვეძლევა, რომ ვინსაველით ადამიანების, მოყვანის სიყვარული ვინსაველით ღმერთის მადლიერება, ღმერთის სიყვარული. ყველა ადამიანი ცოდვილია, მაგრამ მას უნდა უნდოდეს თავი დააღწიოს საკუთარი ცოდვების ციხეს, საკუთარი ცოდვების საფლავს, მას უნდა ჰქონდეს ღმერთის იმედი. სწორედ მათთვის განკავდა ღმერთი, მათთვის ჩაეშვა ცოდვების უფსკრულში - ჯოჯოხეთში, რომ შეეღწა მისი კარგი, და ცოდვის დაგმანული საფლავებიდან გაეთავისუფლებინა ადამიანების სულები.

სწორედ ამას ნიშნავს აღდგომის საგალობლის სიტყვები - „და საფლავების მიწათა სიკოცხლის მიმსიჭებელი“. ე. ი. ქრისტემ ჩვენთვის შეისხა ხორცი, ჩვენითვის იცხოვრა მიწაზე, ჩვენითვის მოკვდა და ჩვენითვისვე აღსდგა. ქრისტეს აღდგომით ჩვენც აღვედგებით მკვდრებით. აღდგება ის, ვინც ამას მონიღმობს.

გახსოვთ, ზღაპრებში რაინდები როგორ დეოქმდნენ უკვდავების წყალს? სწორედ ეს უკვდავების წყარო მოგვაჩვენებს ჩვენ იესო ქრისტეს. ეკლესიაში, ყოველ წორვაზე, ზიარებისას ასეთი საგალობელი იკმაობება - „... და უკვდავებისა წყაროსა გემო ვეპოვი“ (ე. ი. ვიკემოთ). ყოველი ზიარებისას უკვდავების ძალა უბე ნაკვდად გამომოედინება ჩვენში.

მაგრამ მასთან მისასვლელ გზაზე მართლაცად რაინდებივით არავრთი ბრძოლის გადაბდა მოგვიხდება. ჩვენ უნდა ვებრძოდეთ საკუთარ ცოდვებს, ჩვენი საბრძოლო იარაღი, ჩვენი შუბი და მახვილი უნდა იყოს სიყვარული, ხოლო ფარი და აბჯარი, რითაც თავს დავიცავთ - სინანული. თქვენ, მატარა ქრისტიანებო, უნდა იცოდეთ, რომ ქრისტეს რაინდები ხართ და იბრძვით უმთავრესისთვის - სიკოცხლის გამარჯვებისათვის.

მოდით, ვემსგავსოთ ქრისტეს მის თავმდაბლობაში, სიყვარულსა და თავგანწირვაში, რომ გავხდეთ მისივე მსგავსნი სიკვდილზე გამარჯვებაში. თქვენ იცით, რომ ადამიანები თქვენს გარშემო კვდებიან, მაგრამ გულის სიღრმეში გაცოხიათ, რომ სიკვდილი თქვენ არ შეგეცხობთ. ეს მართლაც ასეა, ამას თქვენ გკარნახობთ თქვენივე სული, რომელიც ღმერთმა უკვდავებისათვის შექმნა. ჩვენ, ადამიანებო, უკვდავებისათვის ვართ შექმნილი. გვეკროდეთ და განამდეთ, მით უფრო, რომ ქრისტეც აღსდგა! ქრისტე აღსდგა ამინ, ამინ, ამინ!





საქართველოს ეროვნული ცენტრი  
შვილებისათვის  
საქართველოს ეროვნული ცენტრი  
შვილებისათვის

### ლექსის სადღეობრივლო

-გაუმარჯოს საქართველოს,  
დედის, ვანიკოს და მამას,  
მთვარიან ცას, უთვალაშმა  
ვარსკვლავებმა რომ გადანამა.

ადღევრძელა ხარი, ჩიტო,  
მთაზე შეფენილი ფარა.  
აიღო და ჭიქა ჩაი  
ნება-ნება გამოცადა.

თავისთავი დააიწედა,  
მიბანჯალებს აცა-ბაცა,  
გაუმარჯოს,  
ნ თქმა უნდა,  
ჩვენს პატარა ლექსოსაცა.

### ბიჭები

- გაიღვიპეთ, ქართველებო! -  
დავუძახებ ბიჭებს დილით.  
ერთი მორბის სკუპ-სკუპით და,  
მეორე კი ასკინკილით.  
ვიდრე გარჯად გათენდებო,  
მოდგება სარკმელს სხივი,  
აივანზე ქაღურტულეებზე  
ასაფრენი ბარტყებივით.

### ბრივი

ჩხიკვი შეხვდა ოფოტს: .  
- სიცხე მომცა!..  
- ოპ, ოპ!..  
ოფოტს შეხვდა ჩხიკვი,  
ფხხი-ფხხი, ფხხი-ფხხი, ფხხივით.  
- ვადაუქი იქით,  
არ შექცდი გრინო!..  
იქვე მკვირი ჩამომუდარა,  
დაუღია ხახა:  
- ჩხიკვი ოფოტს გრინებს ვადანდებს,  
ხი-ხი, ხი-ხი, ხა-ხა!..



### ვალი

გავისტუმრეთ ვალი,  
აღარ დაგვრჩა ღარი.  
მაწონი თუ ვერ ვუვიდეთ  
ვაი ლექსოს ბრალი.



მატყარი ღარაჯანი პილაშვილი





მისრული გზის კაცო და თინი წლის გოგონა მიუყვებთან. გზის ნახევარს მანგოს ხეების ჩრდილი დაჰფენია. ხეივანი შორს, სიციხის ბურუსში, მუქმწკანედ დაბურულ ეზოში იკარგება. შინდისფერი კრამიტით დახურული, მზით ნაფთობული სახლის კიდე თქროსფრად ზნანავს. ნაყოფით დახუნძლული მანგოს ტოტები ნიაფზე გამოზომილად ირწყვიან. ფერია სიუხვის დასტურად სხვადასხვა ჯაშის ნაყოფი ლამაზად ლივლივებს.

ბუტონის ბოქანტებზე შესკუბული, მარსელის კრამიტით დახურული, ხის აივნანის სახლი ხეილით დაბურულ ეზოს იშერული კარმიდამოს იერს აძლევს. აივანზე მოხუცი ცოლ-ქმარი თვალმინაბულები შეზღონგში ირწყვიან. ეზოში მწკანე მთლზე ფარშევანგებუ დინჯად დაბაიჯებენ - შეუხედავი დედლები უფრო შორცხვად, თავის სილამაჟში დაწმუნებული მამლები კი უფრო ამაყად და გამოშვებად.

პატარა გოგონა ხელნებავადილი მისდევს ფარშევანგებს. ისინი თუნაგ აჩქარებენ ფეხს. ფარშევანგები სერიოზულ საფრთხეს ვერ გრძნობენ, ამიტომ უმფოთვლად ებმებიან გოგონასთან თამაშში.

ჩემი გოგონა, კუბრითი შავ თვალებს ხუჭავს, წკრიალა ხმით იცინის. პატარა ხელისგულებს შემოპკრავს, გახარებული ჩაცუქდება და ვაირინდება. მამალი ფარშევანგი წვეილ თავს მოხდენილად შემობრუნებს, ქერქს კეფაზე თუნაგ აშლის, იშვიათი ფერებით მოხატულ ბოლის ზემოთ აწკეპავს და მარიახავით ხელა გადაშლის. უდიდესი გემოვნებითა და სიხუსტით შესრულებული ნახატით ალტაცებული ბავშვი დიმილით ამომხედავს. თვალგებში უზომო გაოცება ჩასდგომია. „ნთუ ამ მშვენიერების საიდუმლოს რამე ვაკვებ?“ -

მხენით შეკითხება და პასუხს არ თხოულობს. აქამდე თვალისჩინდაკარგულიყვით მშერა

მუშინდება, გაფაციცებით ვაკვირდები ფარშევანგის ბოლოს, რატომღაც თვალწინ წარმომიდგება საღებავით მოთხვრილი ათასი ფუნჯი, მხატვართა ამოღამებული თვალის უბეები. აუხდენელ ოცნებათა სვედა და ჩემი სულის ყველაზე პრიმიტიული და ქუმმარტიი შექცენება გათრებას იწყებს. ერთი მათგანი ბუნების ჯადოსნურ ფუნჯს მსკიცინებს; მეორე ტყაყიდან ძვრება, ადამიანის შექმნილ ათას შედევრს იხსენებს მისი ნიჟისა და გენის სახარგებლოდ.

მშურს ჩემი ქალიშვილის წკრიალა თვალებისა, გამჭვირვალე გამომხედვისა. ისინი ყველაზე დიდი უმოციურობით და სიხუსტით ივებენ ირგვლივ შექმნილ ათას ღირებულ მშვენიერებას, ადამიანის ჩაურევლად.

შეზღონგში მისვენებული ქალი მძიმედ ახლს შემქმნარ ქუთუთებს. არაფრისმოქმელი მშერით გამოყვარვარ განცდა-ოცნების ბურუსიდან. ჩემი შავთვალა გოგონა ხელში ამყავს. ეზოს სასწრაფოდ ვტოვებო. გოგონა პაწაწინა ნიკაპს მხარზე ჩამომაყრდნობს, ვერძობო როგორ მოწიხუსულით გასცქერის მწკანედ მობობინე ეზოს, ამაყად მოხერხებულ ლამაზ ფარშევანგებს.

უკან იმავე გზით გბრუნდებით, ხეივანს მშვიდად მიუყვებით. მანგოს ხეები ტოტების რხევით გვეხოხვებთან. ხეივანს ბოლოს ცოცხალ დიქოთა შვხით პალმის მარაიებთ გადახურული ქოხები მოჩანს. წერილფითოლა აფურულ ღობეს ტრობაკული მზის შუქი სწვავს. ღობეს წვერილი, ერთი ზომის, ნარინჯის, იასპანის, ღილის, ვარდისფერი ყვავილი აყრია.

ჩემი ქალიშვილის, აყვავებული ღობის შემხედვარე, თვალეში ყვავილებით ექარგება. მარაწინა წითელყვავილა ტუნენით იდამება. მის ხუნქვავზე ვგრძნობ, მალე ალტაცებულს ხულიდ აუყვავილებდა.



- მამიკო, ბუქვლა !

ღობეში ბუქვლამ შეიფრთხილა, ერთხანს ყვავილებს თავს დასტრიალებდა და შერე წვრილ ტოტზე ჩამოვდა. ნორჩ ტოტზე ქვეყნად ყველაზე პატარა ჩიტო - კოლიბრი იჯდა. შვილს როგორმე უნდა აეუხსნა, როგორ იქცა ბუქვლა ჩიტად. - ვუ ბუქვლა ჩიტია. - სხვა ვერაფერი მოვახერხე.

- რა ერთი ციციქა ! ვუყუროთ რა, - შექმევეწა. კოლიბრის არსად შექნარებოდა, არც ჩვენ. ბავშვი კოლიბრისაკენ ისეთი მოძრაობით აშვურს ხელეებს, თითქოს გაფრენას ღამობსო. ცისფერი ჩაითის კაბის ქვეშ ისეთი მსხუბუქი, გამჭვირვალე შექვენა, გულმა რეჩნა მაყო: ცოტა უფრო თაშამად რომ აიქნათს მკლავები-ფრთები, შეიძლება ტანაც აიყოლოს ბუქვლასავით ნაზმა და სიფრფინამ.

ჩემმა გოგონამ მშვიდად აღმართა მკლავები ცისკენ, თან მზეს შეხვინა. მისი კუბრით თვალეზიდან ტრთბიკული მზე შიდამოდა.

მომქვენა: ციციქა კოლიბრისაც ვაოცებულე



გამოხედვა პქონდა. ერთხანს გვიციქირა, შერე ნაზი ფრთები ერთმანეთს შემოპქრა და ღობეში გაუჩნარდა.

მხატვარი ვაჟა ჟორხული

ოთარ შალაგბარიძე

ბინდი

# მაჯამეში

მამული

ნისქელს ვივავ, ინდი-მინდი, რა მზე იყო, რა ამინდი თუ ნისქელიში დაბრძანდები, მიბასუბე - რაა მინდი?



ბაქიბ, - უცხო ქვეყნები სულ ფებით მაქვსო მოვლილი. ერთიც ვიკითხოთ, - მამული თუ გაქვს სუფთა და მოვლილი?

## გმირობა

ნამდვილ ვაჯაცს შინ თუ გარეთ ის აფიქრებს, ის ახელებს, - ჩქარა დადგეს ნამი, როცა თავს გმირობით ისახელებს.

## ხა არხის პირას

დამძიმებულ ტოტები ქარმა იმდენი არხი, სულ იქ ჩაყარა ნაყოფი, სადაც სარწყავი არხია.



მხატვარი თაბა რიშაბაძე







ბავშვებო! ეს პატარა საფოსტო  
მატარებელი 7 საღებურს გაივლის.  
საღებურები დანომრილია. თქვენ  
უნდა გამოიყნოსოთ რომელი  
საღებური რა მიაქვს მატარებელს  
და პასუხები უნდა ჩაწეროთ  
ლიანდაგებით შექმნილ უჯრედში.  
გამოცნობაში დაგეხმარებათ  
კითხვები:

# მსიანად ხინკივს

1. რა მიაქვს მატარებელს აფთიაქში?
2. შატვართან?
3. მეთევზესთან?
4. მონადირესთან?
5. წისქვილში?
6. ფეხბურთელთან?
7. ფოსტაში?



შატვარი ბიორნო ჩანანძიძე



**«ქეთო და კოტე»**

ფილმი თქვენი ბუბების და ბაბუების, დედების და მამების, თქვენი და ჩვენი, არც ისე ახაკოვანი, მაგრამ უკვე თაობათა საცვარელ სურათად აღიარებული დღევინდარი შედეგა ჯდაფარიძე, ბათუ კრავიშვილი, გიორგი შავგულიძე, ვასო გოძიაშვილი, შალვა ლამბაძიძე... წელს ფილმს 50 წელი შეუსრულდა და პირველად იუბილე ცველაზე პატარებმა მივლოცეს - საბავშვო ეკვალბრმა ანამბლმა **«გაიორილას»** ობრა «ქეთო და კოტეს» მოტივებზე შექნილი შობური წარმოუდგინა მსმენელს ჩვენმა პატარა მკითხველებმა შეიძლება ტელევიზიით ნახეს ეს საექტბალი, ზოგმა იქნებ ვერ ნახა ამიტომაც, გადავწყვიტეთ, ჩვენი ყურბალის ფურცლები «გეირილას» წვერებს, თქვენს თანბტოლებს დავუთმოთ.



მაშ ასე ვინებთ:



მაშე ბუშუქუა



დადი ხანება პატარა ხანება ნათია ვაიაშვილი თათი პეკელია

- შობიანება, შობიანება, შუ ვაიოგი ჩიხლაძე, ზესლაგარი, ნუბა შობიკო, წარმოადგინათი მირაქვილევიძე



საქსტაქლის წამყვანება თექო გიორგია, თუნა ბუქსეში, ნათია ბუბაძე



ქეთო კოტე მარეა წაქვილავი, ზვიტო ქიანავალი



თავთია დამიანა შევად სულხანიშვილი



საქო ხაკო მარეა სულა მარეა ბაგაძე



შობიანა ხანება თათია ბაბაქვილი



თათია დანბა

ქორწილის სტუმრები: გიორგი დოლიშვილი, ნინო ხაჭაპურიძე, გელა ესაკია, თვა ვეშაგური, თამუნა უკლება, ნინო ნახუცრიშვილი.

მოქმედება ისევ იმ შუნობაში ვითარდებოდა, სადაც პირველი «ქეთო და კოტე» გადაიდგეს. ამბავიც იგივე იყო - გადაწყვეტს თავისი ქალიშვილი თავად ლევანს მიათხოვოს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუფარდება. დასასრული კეთილია - ქეთო და კოტე ჯვარს იწერენ. თითქოს ახალი არაფერია, მაგრამ ჯერ სად ხართ, ისეთ ამბებს მოგიყვებით... ალბათ «გეირილას» მათ საიდუმლოს გავამხელთ:



წვერები არ გაგვიწერებიათ, თუ მათ საიდუმლოს გავამხელთ:



საქმე ისაა, რომ თქვენს საქ-  
ვრულ გმირებს, საქის და სი-  
კოს, სანქტუალში გოგონები  
თამაშობენ, რომ არ გვერ-  
ძა, ვერაფერს მიხედობო-  
დით, ხომ მართალია?  
მაგრამ ჩემად, ჩემად  
არცნაურ გაცვივოს,  
თორემ ისიც გა-  
ულაფრება, რომ  
მაკარის  
როლად გო-  
გო ასრუ-  
ლებს ღიბს, ეს  
ფაქტის ტანსაცმელში  
გამოსყობილი, თავზე ბოხის



ჩამოცემული პატარა მასიობი მაკო  
ბუქუკურია არა, ხმაც ისე დაუბოხებია, ექ-  
ვაც არ შეგებარება.  
ამ საიდუმლო ამბებს სასაცილო ისტორიებსაც მოეყო-  
ლები, დიდები უკრიოზებს რომ ეხსიან თურმე ნუ იტყვით და,  
ზურან სულბანიშვილი, რაც ამ სანქტუალში თავადი ლეენის როლი ითამაშა, სულ თა-  
ვადივეთ გაეგებოდა და, ვეღარაფრით გადააჩენეს მაკო ბუქუკურს კი, თავად რომ მიინდობა  
მაკარის როლი შეტარებულა, ბოხის დახურეს თუ არა, ტირილი დაუნყია - მართლა კაცს ვერ-  
ვარო, მაგრამ მასიობი რისი მასიობია - დათანბდა ეს კიდევ რაა, იი, ჯგერსენარზე რომ ამბავი  
მოდეს.



აღბით, ყველას გინა-  
ხათი, ქორწილის დროს ნეფე  
პატარძალს ეკლესიაში გვირგვინებს  
რომ ადგამენ. გადაღების დროს, ყველაფე-  
რი სარწმუნო რომ ყოფილიყო, ქეთო და კოტე  
სტუმრებთანად ქაშუეთის ეკლესიაში წასულან. ჯერას  
მამა ელიზბარი სწერდათ. გვირგვინების დადგამაზე რომ  
მიდგა საქმე, მაშინ კი გადაირულან ქეთოს - სოფო ნინილაში-  
ლის მშობლები, ვაიმე, არ დაგვლუპოთ, სინამდვილემიც ცოლ-ქმრად ჩაითვლე-  
ბიანი.

არა, ვერაფერს ვიტყვით, ფილმ „ქეთო და კოტეს“ პატარებმა მართლაც საუცხტო  
საიუბილეო საჩუქარი მიუძღვნეს.



ქეთი ბერიანიშვილი, ილიანა ჯანაშვილი, ბექა ჭაბაშვი-  
ლი, მარი კონაველიძე, თამუნა კვეციანიძე, ნინო სულბა-  
ნიშვილი, თამუნა უკლები, თიკო ჯაყელი, გვანცა ენუ-  
ქიძე, ნინო ნახუცრიშვილი, მარიამ დოლიშვილი, ლაშა  
თაბაგარი და დაკო ნინიაშვილი - „ბვიროლას“ ყველა-  
ზე პატარა წევრები. მომავალში ისინიც გამოიჩენენ  
თავს, ამაზე ანსამბლის ზელმძღვანელები ქალბატონი პრ-  
ნა ნიფურბა, ნინო ჩიხლაძე და ნათია სპატიანი  
ზრუნავენ და ბევრ საინტერესო სიურპრიზსაც  
გეპირდებიან.

მომზადა თამარ 6060.კახვილია  
ლიზანი თაა მიქაიასი



# თხილი

თხილს ურჩევდა მამა შეივლებს, სოფლად იყო ოჯახი, ქეთის დედამ დაუძახა და გავიდა ცოტა ხნით. რომ დიბრუნდა, მისი თხილი მაგიდაზე არ იყო.

-რა უფავი?-ჰკითხა თამთას, -ჩამეცლაბა, დაიკო!

-არაფრით არ გაპატიებ, რახან ასე იხარბე, თუ ჩავლბაჲ, ახლბ კიდეჲ უკან გამომივლბაჲ!



მხატვარი ეკბ ზაზბი

## ქათის ნაგვრბ

სულბც არ ვარ მეტიჩარბ, სულბც არ ვარ ხარბი, მხოლოდ მიყვარს შოკოლბდი, ნაცინი დბ „ბარბი“.

თურმე, ზებოც ასე იყო, მე ვარ მისი თარგი, კარგბდ ვმღერბ, კარგბდ ვიბეჲვებ სბერთოდ ვარ კარგი.

ჩემბ დიდი ოცნებბ, უბირველებს ყოვლის, ზაფხულში რომ მოდიოდებს სულ ნაცინის თოვლი.

ზამთარში კი, როცბ ქარბ ხიდან ხეზე დარბის, მსურს ხეებმბ გამოსხსბს ბევრზე ბევრი „ბარბი“.



# ჩიოხაქები



ერთი ვაშლი შეიძლება გაგუყუთოთ ორ ძმას, ზეიადსა და ცოტნეს, თუ ვაშლს შუაზე გაგუყუროთ. ვაშლის თითოეულ ნაწილს ნახევარი ეწოდება, ხოლო გაყოფის შედეგს გვიწვევებს რიცხვი  $\frac{1}{2}$ . ზედა რიცხვი გვიჩვენებს, თუ რამდენი ვაშლი უნდა გავგუყუოთ, ხოლო ქვედა რიცხვი - რამდენ ბაგეშს გაგუნაწილოთ იგი. თუ ერთ მსხალს სამ ძმას თანაბრად გაგუნაწილებთ, თითოეულს მსხლის მესამედი შეხვდება. გაყოფის შედეგს აქ რიცხვი  $\frac{1}{3}$  გვიჩვენებს. ასეთ რიცხვებს წილადი რიცხვები, ან, მოკლედ, წილადები ჰქვია. წილადში ზემოთ მდგომ რიცხვს მრიცხველი ეწოდება, ხოლო ქვედა რიცხვს - მნიშვნელი. თუ 2 მანდარინს 5 ბაგეშს გაგუნაწილებთ, თითოეულს  $\frac{2}{5}$  ნაწილი შეხვდება.

წილადის ზახი გაყოფის აღმნიშვნელია. მაგა-

ლითად, თუ ათ ვაშლს 2 ბაგეშს თანაბრად გაგუნაწილებთ, თითოეულს ხუთ-ხუთი ვაშლი შეხვდება. ამიტომ წილადი  $\frac{10}{2}$  ხუთის ტოლია.

ახლა კი ორი ვაშლი  $\frac{2}{4}$  ბაგეშს გაგუნაწილოთ. ადვილი მისახვედრია, რომ თითოეულს ნახევარ-ნახევარი ვაშლი შეხვდება; თუ 3 ვაშლს 6 ბაგეშს თანაბრად გაგუნაწილებთ, ექვსივეს ისევ ნახევარ-ნახევარი ვაშლი ერგება. ამრიგად:  $\frac{1}{2} = \frac{2}{4} = \frac{3}{6}$ . ესე იგი წილადის მნიშვნელობა არ იცვლება, თუ მის მრიცხველსა და მნიშვნელს ერთსა და იმავე რიცხვზე გაგამრავლებთ. წილადის ამ თვისებას წილადის ძირითადი თვისება ეწოდება და მასზეა დამყარებული მთელი მათემატიკური მეცნიერება წილადების თვისებათა შესახებ.

შატავარი 666 სანაი

შოთა სვამანიძე

# მისარიოთა



შატავარი ანა მბალთბლიშვილი

ამოვარდა უცებ ქარი, აჭრილობდა ხაბაძობს

დადის, ზურგიით დააქვს ბინა, ვინ იქნება?

შეშა რომ იწვის ტკარცალით ბოლოს რა რჩება?



ბატი კრუხად მალე ქუკებს

უზის ევას



# მამალი და მკვლე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მამალი. თავს აწონებდა, ყველაზე ღონიერი ფეხები მაქვს, ბუმბული ყველაზე მეტად მბარუნებავს, ღღრონი ფრთები მაშვევებს და „ყიყლიყილი“ ყველაზე ხმაველია მე ვიძახიო.

ერთ დღეც ქათმები საკუთარ ეზოში გამოიყვირნენ: მამალიც იქვე ამაყად დადიოდა.

- რა მშვენიერი დღეა, როგორ კამკამებს შვე, ჩიტებიც რა საამუროდ ეღურგულეებს, წამოდი, ლობიოზე გადაფურცინდეო და ბაღში გაეცხიერნითო. - ჩაულაპარაკა მამალმა წაოფე ღელავს.

ქათმებმა მიიხედ-მოიხედეს, რომ ხახვს, რომ ვიწრო ვიწროვალელებდათ, დამიწეს ფრთები, ღობეს შემოღახ გადაეღვინ და ბაღში ჩაფრინდნენ.

იქვე ახლოს, ბუჩქებში ციბერი მელა გატრუნულიყო, ქათმები რომ დაინახა, გაეხარდა, თიქრა, ამაღამ გემრიელი ვახშამი შექვებოო, მელა ძალიან ეშმაკო იყო, მაშინვე როდი წაეგახა დასაქურდა, დაიფადა, „მამალი, მამალიო!“ - ნაზი ხმით დაუწყო მამალს ძახილი.

მამალს მელის ხმა რომ შემოესმა, ფიცილად შემობრუნდა:

- სუ გემინია, ხელს არ ვახლებ, მამამესს მე კარგად ვიციბოდი, მშვენიერი ჯედი იყო, მერე რა კარგი ხმა ჰქონდა, მსახეით დიდი ხმით ყიყილი არავის შეეძლო, დახუჭავდა თვალებს და - ყიყილიყო, ყიყილიყო, შემოსძახებდა, ხეცავე შენე მამას მექვებო? თვალდახუჭულმა იყო ყიყილი? რა კარგი მამალი ხარ, რა მშვენიერი! - ეღღრნებდა მელა.



**გააფიქრდეთ!**





როგორი თავაზიანი მელაა, უნდა ვეჩვიო, რა კარგად შემიძლია ყვირილი! - გაიფიქრა მამალმა, თელღები დახუჭა და უმხიანად შეოსობხა:

- ყი-ყლიო-ყიო! - მაგრამ დამთავრებული არ მქონდა ყვირილი, რომ ემშაკმა მელამ პირი დააფლო და გყისკენ გააქნა.

- მელაე! მელაე! - აკრიხდა წითელი ღელაღი და მელას გამოუდგა დასაჭკრად. დახარჩენ ქაბამებსაც მოესმათ ღელას ქოთქოთი და ყველანი მელას დაეღვენენ.

შემხდა მამალი, მაგრამ რალას იმამდა.

- რა არის, რა ხმაურია? - იკითხა მამალმა ისე, თითქოს ეს ამბავი აინუნშიაე არ მოსდოდა.

- უნდა ვუთხრა, ახლავუ გაჩუმიდენს! - და მამალმა ყველას გახანგონად ხმამაღლა შემოძახა:

- მესლექით, მქერო, გუყოფით სირბილი! სულერთია, მაინც ვერ დამეწყვეთ. მე მელას გყემდე თაგს მივაყვანინებ, შეგხანსლავე და მალე დაებრუნებოთ.

შელას გაეყენა მის ნაოქვამზე. გულიანად გადაიხარხარა, მამალმა დროთა და პირიღამ გამოურინდა. დარჩა მელა პირში ჩალაგამოვლებული. ამ დამით მშვერი დაწვა დასაძინებლად.

ინგლისურიდან თარგმან ნათელა გუჯარბიძე

### კეკელიბრისტია

ცირეც ყველას გიყვართ - ვის კლოუნები გამხიარულებთ ყველასე მელად, ვინ ავრობატეპის თავბრულამხვევ ვარჯიშებს შესწერებისართ სურნეაქაშეკრული, ვინ - კეკელიბრისტების მაღაყებს ბაგიორზე, ბურთზე, მავითულზე, ერთმანეთზე შედგმულ სკამებზე... ახლა გაწვთინილი ცხოველები! ახლა თეფშების, ბურთების, რგოლების ბაზრიაღ-ტრიალი ჟონგლიორების ხელში! ჩვენ გვიხდა, სიტყვებით ჟონგლიორობა გასწავლით. აიღეთ სიტყვა **კეკელიბრისტია**. შეეჯობრეთ ერთმანეთს, ვინ მეტ სიტყვას გამოიყვანს მისი შემადგენელი ასოებიდან. (რომ არ დაიბნეთ, ჯერ ერთი მარტივი სიტყვის მაგალითზე ვაჩვენებთ, როგორ უნდა ეს „სიტყვების გამოყვანა“. ავიღოთ სიტყვა „აზრი-აღა“. აქედან შეიძლება გამოვიდეს სიტყვები - აზრი, ბაზარი, ბრაზი, ბია, მზა, ჭაზრი, ზარი, რაზა, ლარი და სხე). დაიწერეთ იმდენ-იმდენი ქულა, რამდენი სიტყვაც გაქვთ თითოეულს. ახლა ამ ქულებს მიუმატეთ სხვა „მონაგარიც“ - სამ მეტმარცვლიან ყოველ სიტყვაში 5-5 ქულა მიითვალეთ, ორმარცვლიანში - 3-3 ქულა, თითო მარცვლიანში კი - თითო ქულა. შეკრებით თქვენი ქულები და გამოავლინეთ გამარჯვებული. აი, ნახავთ, როგორ მოვაქონებთ ასეთი თამაში. სხვა დროს თქვენ თვითონ აირჩიეთ რამე სიტყვა და „ჟონგლიორეთ“.



შატკარი თაა მიძინა



# გაზაფხულდა

წელს თებერვლის ქარებმა  
 გადიოდას სამთარი;  
 წავიდა, თვალს მიეფარა  
 გულმაჟი თუთრი აფთარი.  
 მთა-ბარი აგუიბიბინდა,  
 გადავვილურვდა ტყე-შელი,  
 მზე სამოგვმდერის -  
 სიცოცხლის  
 აგუნების გადამწვეელი.



## 9 აპრილი

ჩვენს დამპყრობელთან ის იყო  
 ჯამი პირისპირ შეჯერისა.  
 ძნელია შეილის სიცოცხლე  
 დამონებული ქვეყნისა.  
 იურაჯუნებოდა ახპიტი,  
 დამე სისწლისფრად ვლავდა,  
 რა ადვილია სიკვდილი  
 სამშობლოს დანახსნელადა.

## თავისუფლების დღე

რაც სამშობლოდ მოგვეკუთვნა,  
 არის შხის და მთვარის ხნისა.  
 დღეს რომ მუქი აფურადგებს  
 თცდაუქესი მაისია.



# რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:

საქართველო  
საბავშვო

ნიკელა ანთიქს  
ევა გიორგაძეს  
შოთიკო გიორგაძეს  
შოთიკო დათუსანს  
ზაზა დარეჯანიას  
თორნიკე ერისთავს  
კახა თავაძეს  
გიორგი ინაშვილს  
ქრისტინა კობუშვიძეს  
ნათია კობუშვიძეს  
გიორგი კუპრეიშვილს  
თეა შვიძეს  
გიორგი შვიძეს  
საბა მჭედლურს  
გუბა რევაზიშვილს  
ანა რევაზიშვილს  
შოთიკო სალიანს  
ლევანო ფოჩოვას  
მარიამ დავითეს  
ნათია ყურაშვილს  
ილიკო შამუგიას  
ნოდარიკო ჯორჯენაძეს  
ნინო ჯანაშვილს



**შეუბნდით საუბრდამდე!**

თუ გსურთ რეკლამა პატარას  
დაბადების დღეს მიულოცოთ,  
დაგვიკავშირდით  
სამი თვის ადრე-  
დაბგორებეთ: 93-10-32

მსატვარი შინა ლაზარა





# სოფიო ბებოს ქურდი

ეს ამბავი თბილისში მტკვრის სა-  
ნაპიროზე მდებარე ერთ ხუთსართულ-  
ლიან □□□□□□ მოხდა. ამ სახლის  
მეოთხე სართულზე ერთოთახიან ბინა-  
ში ცხოვრობდა ძალზე კეთილი მოხუ-  
ცი ქალბატონი, რომელსაც ყველა,  
ვინც კი იცნობდა, სოფიო ბებოს ეძახ-  
და.

ოთხმოც □□□□ მიტანებული სოფიო  
ბებო ნახევარი საუკუნე დანჰყბიტი  
კლასების მასწავლებლად იყო ნამუშე-  
ვარი, ახლა, რა თქმა უნდა, პენსიო-  
ნერი გახლდათ და სულ ერთთავად  
შინ, თავის ბინაში ფუსფუსებდა, ხან-  
დახან, ისიც ცოტა ხნით, მეზობლებე-  
თან თუ გავედოდა სასაუბროდ, ეს  
იყო და □□. რასაკვირველია, რომ  
სოფიო ბებო ძალიან შეჩვეული იყო  
ბავშვებთან, ახლაც მეგობრობდა მათ-  
თან და უბნის ყველა მოზარდი და  
ბატარა საკუთარი შვილიშვილებივით  
უყვარდა, მათი გამასპინძლებდა განსა-  
კუთრებულ სიამოვნებას ჰგვირია და  
ხშირადც უმასპინძლებოდა. მათთვის  
ყოველთვის ჰქონდა მომარაგებული  
სხვადასხვა ტკბილეული, უფრო ხში-  
რად კი გოზინაყი, რომლის დამზადე-  
რაც ძალიან □□□□□□ ეხერხებოდა.

სოფიო ბებო მარტოხელა იყო, მე-  
ზღვე უკვე □□□□ ხანია გარდაც-  
ვლოდა, ხოლო ერთადერთი ქალიშვი-  
ლი ქმარ-შვილით სხვა ქალაქში  
□□□□□□□□.

შემოდგომის ერთ □□□□ სოფიო  
ბებოს სოფლიდან ნათესავი ქალი ეს-  
ტუმრა და სხვადასხვა მოსაკითხთან  
ერთად დიდი ჯამით კაკალიც მოუტა-  
ნა. მოხუცს კაკალი ნედლი ერწენა,  
ამიტომ მოზრდილ ლანგარზე გაშალა  
და ღია აივანზე გაიტანა, ნიავსა და  
მზებზე რომ კარგად გამშრალიყო.  
სწორედ იმ დროს, როცა ბებო სო-  
ფიომ აივანზე კაკალი გაიტანა, სახ-  
ლის უკან, აივნის პირდაპირ აღმარ-  
თული ალვის ხის ტოტზე, ერთთავად

იმ არემარეში მოხეტიალე ყვავი-ყვან-  
წალა მობუზულიყო და იმაზე ფიქ-  
რობდა, თუ სად რა საკბილო ეშოვ-  
ნა. □□□□□□ რომ დაინახა,  
□□□□ სიხარულით აუტყვრდა და  
როგორც კი ქალი ოთახში შებრუნდა,  
აივნისაკენ აშვერილი ტოტისაკენ  
ფრთხილად გადაიხივლა და იქ კარ-  
გად მიფარებული მოკალათდა. ერ-  
თხანს იცადა ხეზე □□□□□□□□ და  
როცა დარწმუნდა, კაკლის პატრონი  
აქეთ გამობრუნებას არ აპირებდა, აი-  
ვანზე გადაფრინდა და კაკლით სახსე  
ლანგართან დასკუპდა, დააგლო ნის-  
კარტი ერთ ცაღ კაკალს და ისევე  
უხმაუროდ ვერ ხეზე გადაფრინდა,  
ხოლო შემდეგ დაბლა, მდინარის ნა-  
პირისაკენ დაეშვა კაკალი თხელნაჭუ-  
ქიანი აღმოჩნდა, ქვაზე ორიოდე დაქ-  
ტყმით ყვანწალამ იგი ნამსხვრეტებდა  
აქცია და ლენუნებს გემრიელად შეექ-  
ცა.

ერთი კაკალი რას ეყოფოდა და  
ყვანწალა მაშინვე □□□□ გამობრუნდა,  
ვერ ისევ სიდან დაზვერა აივანი და  
რაიმე საშიშროება რომ ვერ ნახა,  
ისევე ძველებურად გაიმეორა.

იმ დღეს ათამდე კაკალი მოჰპარა  
სოფიო ბებოს ყვანწალამ, ასევე  
□□□□□□ და □□□□□□ დღესაც, მიჰ-  
ქონდა და მიჰქონდა, ბუბოს კი აზ-  
რადაც არ მოსვლია კაკლისათვის და-  
ხედა, სრულიად უსაფრთხო ადგილას  
ეგულეობდა გასაშრობად გაფენილი.  
მხოლოდ მეოთხე დღეს დახედა და  
გაოცებული დარჩა - ამოდენა ლან-  
გარზე აქა-იქდა ეყარა სულ ათიოდე  
ცალი კაკალი.

მას მერე დღემდე სულ ასე  
უკვირს სოფიო ბებოს, ვის უნდა  
□□□□□□ კაკალი, მაგრამ ეს საი-  
დუმლო ქვეყანაზე არავენ იცის,  
გარდა თავქორორა და გრძელნისკრტა  
□□□□□-□□□□□□□□□□.

მხატვარი ბია ლაფაური



# ყორივარდა

მზემ გაათბო  
 რაწამს მიწა,  
 ყორივარდამ  
 გაიღვიძა,  
 ნეშო შეკრთა,  
 ნეტავ რადა  
 გზა მომეცო! -  
 ყორივარდამ,  
 მწვანე ღერო,  
 ერთი ციდა  
 დიდის ამბით  
 ამოზიდა,  
 ტიკტიკებდა  
 თანაც ლექსსა;  
 რომ დაფისხავ  
 ყვავილებსა,  
 მივაგებებ  
 მართო მასა,  
 მზეს ვინც ასწრებს  
 ადგომასა.



60ნაწი პარტანაპა


# აკვანი

შრიალებს ბებერი კაკალი,  
 კაკლის ქვეშ დაუდგამთ აკვანი,  
 აკვანში ბიჭი წვეს პატარა,  
 ბიჭი და რა ბიჭი, ნატვრაა!  
 მძინარეს დარაჯიც ჰყოლია, -  
 აყვფდა ფხიზელი ბროლია...  
 ატირდა პატარა მაშინვე...  
 მიცნეს და ორივე დაშვიდნენ.  
 შრიალებს ბებერი კაკალი,  
 კაკლის ქვეშ ირწევა აკვანი.



# მარცხი

მდინარის პირას, მინდორში  
 დანავარდობდა კვიცი,  
 არ ეშვებოდა, დასდევდა  
 ბიჭი პატარა, მკვირცხლი.  
 ზურგზე მოქცევას ლამობდა,  
 კვიცი გამოდგა ფიცხი...  
 ბიჭი სირცხვილით ინვოდა,  
 ყაყაოები - სიცხით.





### ტირის ჩიტი ჩიორა

ტიუ გაკაფეს, აღარ ჩანს  
არც იქით, არც აქეთო.  
ტირის ჩიტი ჩიორა:  
- ბუღე სად გაკაკეთო?



### მინდა რა უნდა თქვასო

ჩვენი სოფლის თავსო  
დიდი მუხა დგასო,  
იქვე ერთი წისქვილი  
დოლის პურსა ფქვეავსო.  
დოლაბები გუგუნებენ,  
გვიამბობენ რასო?

- კალოს გულში მნა შრიადგასო;  
კვერი ამბობს ბანსო,  
ბარაქა არ მოჰკლებოდგასო  
გლეხის შარუყვენასო.  
ბუბუ ბუბუ...  
დავუკნებთ  
თეთრი ფქვილის ხეავსო,  
აჟინდ რა უნდა თქვასო.  
წისქვილმა კი ფქვასო“.

### მინდა ვამოვიფრინო

მინდა შემოვიფრინო  
მინდვრები და მთები.  
- ჩიტო, ჩიტო ჩიორა,  
მომე შენი ფრთები!  
ცისარტყეღავ, ღამაშო,  
ეგ ფერების ჩქერი  
მანუქე, რომ დავხატო  
საქართველო ჩემი.



შხატარი ელზარ დამბაკაძე

მთავარი რედაქტორი ღოღო ჟიჟიძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხაია, ციციოს გამყრელიძე, ვიორჯი როინიშვილი, ნანა კვარაცხელია,  
ნანი კაკაია, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმიდინ ჭალაიანი, თენგიზ ჩალაური.  
მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30

გამოდის 1904 წლიდან  
ყდაზე ნახატი გურამ ედილაშვილისა - განათლების მთავარი სამმართველოს სამხატვრო სკოლის  
VIII კლასის მოსწავლე.

დაბეჭდილია ბულგარეთში გამოცემულმა „ლაზიურის“ მიერ  
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი  
ხელმოწერითაივის: 2 ლარი



40 256/

ბან



ქრავი

ბორ



ბან



ს ა მ რ ა მ ა  
9  
ბ ა ნ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა



აპოგინეთ  
კომბლეს  
მგლის  
ბუნაგისაკენ მიმავალი ბილიკი